საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საქართველოს ეროვნული პლატფორმა მხარს უჭერს სასამართლოს სისტემური რეფორმის გატარებას, მათ შორის, მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების საგანგებო მექანიზმის შემოღებას. თავის მხრივ, მოსამართლეთა ვეტინგის მექანიზმის და მისი მხარდამჭერი პირების წინააღმდეგ მიმდინარე დისკრედიტაციის კამპანია ხელს არ უწყობს საქმიან დისკუსიას და ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულებას.

სასამართლოს სისტემურ რეფორმაზე, მათ შორის მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების საგანგებო მექანიზმის შემოღებაზე სერიოზული მსჯელობა აუცილებელია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგი ნაბიჯის გადასადგმელად. ნაცვლად ამისა, საზოგადოება რამდენიმე კვირაა ისმენს მოსამართლეთა კეთილსინდისიერების და დაუსაბუთებელი ქონების შემოწმების წინააღმდეგ მმართველი ხელისუფლების განცხადებებს და ასეთი შემოწმების მომხრეთა დისკრედიტაციის კამპანიას.

მას შემდეგ, რაც საქართველომ წარადგინა ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ განაცხადი, საქართველოს ეროვნულმა პლატფორმამ კოორდინაცია გაუწია და ხელი შეუწყო სასამართლო რეფორმის შესახებ არაერთი დისკუსიის და სამუშაო შეხვედრის გამართვას, როგორც პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს შორის, ისე გადაწყვეტილებების მიმღებებთან. საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრმა ორგანიზაციებმა 2023 წლის სექტემბერში და 2024 წლის თებერვალში პარლამენტში წარადგინეს კანონპროექტი, რომლითაც პარლამენტს სთავაზობენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოვლისმომცველი რეფორმის, სასამართლო სისტემაში ანტიკორუფციული მექანიზმების გაძლიერების და მოსამართლეთა კეთილსინდისიერების საგანგებო შემოწმების საკითხებზე კონკრეტულ მოდელებსა და წინადადებებს.

შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ პლატფორმას მიაჩნია, რომ სახეზეა სასამართლოს სისტემური რეფორმის საჭიროება: სასამართლოს დამოუკიდებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობა არ შეიცავს საკმარის გარანტიებს საიმისოდ, რათა სასამართლოში გამოირიცხოს კორპორატივიზმი და მოსამართლეთა ვიწრო ჯგუფის უკანონო გავლენები. გარდა ამისა, კანონმდებლობა საჭიროებს ანტიკორუფციული მექანიზმების გაუმჯობესებას იმგვარად, რომ მოსამართლეთა მიმართ კორუფციის ბრალდებები არ დარჩეს რეაგირების გარეშე.